საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2023/2024

01.03.2024
www.geostat.ge

01.03.2024

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

(2023/2024 სასწავლო წელი)

2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში 62 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, აქედან 19 სახელმწიფო და 43 კერძო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაახლოებით ორი მესამედი ქალაქ თბილისშია.

2023/2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიიღეს 54.3 ათასი სტუდენტი, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტებში 32.4 ათასი, ხოლო კერძო უნივერსიტეტებში - 21.9 ათასი. სტუდენტთა მიღება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 8.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2019/2020-2023/2024 სასწავლო წლებში სტუდენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღების მაჩვენებლები.

დიაგრამა №1

სტუდენტების მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(ათასი)



01.03.2024

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 177.8 ათასი შეადგინა, რაც წინა სასწავლო წელთან შედარებით 10.2 პროცენტით მეტია. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს სტუდენტთა საერთო რიცხოვნობის 59.1 პროცენტი, ხოლო კერძოში - 40.9 პროცენტი. სტუდენტთა საერთო რიცხოვნობიდან 51.2 პროცენტი ქალია, ხოლო 48.8 პროცენტი - კაცი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სტუდენტების რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2019/2020-2023/2024 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №2

სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

(ათასი)



01.03.2024

2023 წელს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაამთავრა 26.3 ათასმა სტუდენტმა, რაც წინა წელთან შედარებით 2.1 პროცენტით მეტია. კურსდამთავრებულებიდან 60.1 პროცენტი არის ქალი, ხოლო 39.9 პროცენტი - კაცი. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 1.7-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების რიცხოვნობას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით, 2019-2023 წლებში.

დიაგრამა №3

კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა უმაღლესი განათლებით

(ათასი)



01.03.2024

უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობამ, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 30.7 ათასი შეადგინა, რაც 22.5 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 11.2 ათასი პროფესორ-მასწავლებელი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5.9 პროცენტით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2023/2024 სასწავლო წელს.

დიაგრამა №4

პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში
(2023/2024 სასწავლო წელი, კაცი)



01.03.2024

2023 წელს, უნივერსიტეტებში მიღებული დოქტორანტების რიცხოვნობა, წინა წელთან შედარებით, 6.4 პროცენტით გაიზარდა და 930 პირი შეადგინა. დოქტორანტების რიცხოვნობა 1.9 პროცენტითაა შემცირებული და 3 569-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით, 2023 წელს.

ცხრილი №1

დოქტორანტების განაწილება სადოქტორო პროგრამების მიხედვით

(2023 წელი)

	რიცხოვნობა (კაცი)	%
დოქტორანტები, სულ	**3 569**	**100.0**
მათ შორის:		
განათლება	103	2.9
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	653	18.3
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	1 664	46.6
მეცნიერება	403	11.3
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	232	6.5
სოფლის მეურნეობა	50	1.4
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	435	12.2
მომსახურება	29	0.8

წინა წელთან შედარებით, კურსდამთავრებული დოქტორანტების რიცხოვნობა 3.0 პროცენტით შემცირდა და 521 პირი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2023 წელს.

დიაგრამა №5

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა განაწილება პროგრამების მიხედვით, 2023 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelasvili@geostat.ge